საკონსტიტუციო სასამართლოს დაკომპლექტების წესი საქართველოსა და ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებში

1

საქართველოს
ახალგაზრდა
იურისტთა
ასოციაცია

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია

საკონსტიტუციო სასამართლოს დაკომპლექტების წესი საქართველოსა და ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებში

თბილისი
2021

კვლევის მომზადება შესაძლებელი გახდა ამერიკელი ხალხის გულუხვი დახმარების წყალობით, რომელიც აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მეშვეობით იყო გაწეული. ანგარიშის შინაარსზე პასუხისმგებელია საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია. ის შეიძლება არ ასახავდეს აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტის, USAID-ის ან აშშ-ს მთავრობის შეხედულებებს.

USAID
ამერიკელი ხალხისგან

EAST • WEST MANAGEMENT INSTITUTE
კანონის უზენაესობის მხარდაჭერა საქართველოში (PROLoG)

კვლევის ხელმძღვანელი: ვახუშტი მენაბდე

კვლევის ავტორი: თამარ ხუხია

რედაქტორი: ხათუნა ყვირალაშვილი

ტექ. რედაქტორი: ირაკლი სვანიძე

აიწყო და დაკაბადონდა

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციაში.

ჯ. კახიძის ქ.15 თბილისი 0102 საქართველო

(+995 32) 295 23 53, 293 61 01

აკრძალულია აქ მოყვანილი მასალების გადაბეჭდვა, გამრავლება ან გავრცელება კომერციული მიზნით, ასოციაციის წერილობითი ნებართვის გარეშე

© 2021, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია

სარჩევი

1. შესავალი 4

2. კვლევის მეთოდოლოგია 6

3. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს დაკომპლექტება, საკანონმდებლო ჩარჩოს მიმოხილვა 9

4. საკონსტიტუციო სასამართლოს დაკომპლექტება ევროკავშირის სახელმწიფოებში 11

4.1. ლიეტუვა 11

4.2. ლატვია 12

4.3. ესპანეთი 14

4.4. იტალია 15

4.5. ბულგარეთი 17

5. შეჯამება 18

დანართი №1 19

დანართი №2 20

1. შესავალი

სამართლებრივი წესრიგის ყველა ელემენტი კონსტიტუციას უნდა შეესაბამებოდეს. ამ მიზნის მისაღწევად კონტინენტურ ევროპაში, განსაკუთრებით, ე.წ. „ახალი დემოკრატიის“ სახელმწიფოებში არსებობს საკონსტიტუციო სასამართლოს ინსტიტუტი, რომელიც დემოკრატიისა და კანონის უზენაესობის კონცეფციის მნიშვნელოვან მიღწევად მიიჩნევა.[1] მეორე მსოფლიო ომის შემდეგ საკონსტიტუციო სასამართლო ჯერ გერმანიასა და იტალიაში, მოგვიანებით ესპანეთსა და პორტუგალიაში, ბოლოს კი ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში,[2] მათ შორის, საქართველოშიც დამკვიდრდა.[3]

საკონსტიტუციო სასამართლოს არსებობა ხელს უწყობს საზოგადოების დემოკრატიულობის, ადამიანის უფლებებისა და კანონის უზენაესობის დაცვას.[4] მისი ლეგიტიმურობა და ფუნქციების შესრულების ხარისხი დიდწილად დამოკიდებულია დაბალანსებული და გამჭვირვალე დაკომპლექტების პროცედურებზე.[5] სხვაგვარად, ეჭვქვეშ დგება გადაწყვეტილებათა სანდოობა.[6]

2020 წელს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში უზენაესი სასამართლოს კვოტით ორი წევრი დაინიშნა.[7] მიუხედავად მოწოდებისა,[8] მოსამართლე ხვიჩა კიკილაშვილი თანამდებობაზე განწესდა საგანგებო მდგომარეობის პირობებში, მაშინ, როდესაც თავად პლენუმის წევრებსაც არ ჰქონდათ ინფორმაცია კანდიდატის ვინაო-

---

[1] Garlicki L., ”Constitutional courts versus supreme courts”, Oxford University Press and New York University School of Law, Volume 5, Number 1, 2007, pp. 44-68, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3dx8b1m, განახლებულია: 03.06.2020.

[2] European Commission For Democracy Through Law (VENICE COMMISSION), Compilaion of Venice Comission opinions, reports and studies on constitutional justice, გვ. 5, ვენეციის კომისიის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/2ZrTzML, განახლებულია: 03.06.2020.

[3] საქართველოს კონსტიტუციის 59-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

[4] Compilation of Venice Comission opinions, reports and studies on constitutional justice, გვ. 5.

[5] იქვე.

[6] იქვე.

[7] 2020 წლის 3 აპრილს თანამდებობაზე დაინიშნა ხვიჩა კიკილაშვილი, ხოლო 2020 წლის 29 მაისს - ვასილ როინიშვილი.

[8] საია მოუწოდებს უზენაესი სასამართლოს პლენუმს, საგანგებო მდგომარეობის დასრულებამდე შეაჩეროს საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლის დანიშვნის პროცედურები, 2020 წლის 30 მარტი, საიას ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/2YqRgHv, განახლებულია: 12.06.2020.

ბის შესახებ.[9] პროცესი უარყოფითად შეფასდა[10] და მკაფიოდ გამოჩნდა ცვლილებების საჭიროება. თუმცა, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარემ არ გაითვალისწინა მიღებული გამოცდილება და არც საიას საკანონმდებლო წინადადება მიიღო მხედველობაში.[11] იგივე განმეორდა 2020 წლის მაისშიც.[12] საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეებმა თანამდებობა გაუმჭვირვალე და დაუბალანსებელი პროცედურების შედეგად დაიკავეს. დაინტერესებულ პირებს არ ჰქონდათ მათთან დაკავშირებით ჯეროვანი დისკუსიის გამართვის, ხოლო უზენაესი სასამართლოს წევრებს[13] - ინფორმირებული გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობა.

ამ ფონზე, კვლევის მიზანია საკონსტიტუციო სასამართლოს დაკომპლექტების წესის მიმოხილვა საქართველოსა და ევროკავშირის წევრ იმ ქვეყნებში, რომლებშიც საკონსტიტუციო მართლმსაჯულების ორგანოს ფორმირებაში სახელმწიფო ხელისუფლების სამივე შტო მონაწილეობს.

---

[9] უზენაესი სასამართლოს მოსამართლე ეკატერინე გასიტაშვილის განცხადება დისკუსიაზე „საკონსტიტუციო სასამართლოს დაკომპლექტება“, 1:37:40-1:40:50 წთ, საიას ოფიციალური ფეისბუქგვერდი, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/2ZHQWGE, განახლებულია: 27.05.2020.

[10] საია უზენაესი სასამართლოს პლენუმის მიერ საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის დანიშვნის პროცესს უარყოფითად აფასებს, 2020 წლის 3 აპრილი, საიას ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/2xT9Kap, განახლებულია: 27.05.2020.

[11] ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ პარლამენტს უზენაესი სასამართლოს პლენუმის მიერ საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის დანიშვნასთან დაკავშირებით საკანონმდებლო წინადადება წარუდგინა, საზოგადოებრივი მაუწყებლის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/2UlL2Y4, განახლებულია: 05.06.2020.

[12] საია უარყოფითად აფასებს პლენუმის მიერ საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის დანიშვნის პროცედურებს, 2020 წლის 29 მაისი, საიას ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3cQr5Pv, განახლებულია: 12.06.2020.

[13] შენიშვნა: მართალია, უზენაესი სასამართლოს წევრებს, ხვიჩა კიკილაშვილის დანიშვნისგან განსხვავებით, სხდომამდე ჰქონდათ ინფორმაცია, თუმცა გონივრული ვადა არც ამ შემთხვევაში ყოფილა დაცული.

2. კვლევის მეთოდოლოგია

წინამდებარე დოკუმენტზე მუშაობისას გამოყენებულია კვლევის დოქტრინალური მეთოდი, რაც გულისხმობს კანონმდებლობისა და სხვა პირველადი თუ მეორადი წყაროების ანალიზს. ნაშრომის ძირითადი ნაწილი ეყრდნობა შედარებითსამართლებრივ მეთოდს.

ქართულ მოდელთან შესადარებლად ქვეყნების შერჩევისას პირველი კრიტერიუმი ევროკავშირის წევრობა იყო, მეორე - ტერიტორიული მოწყობა. საქართველოს მსგავსად, ქვემოთ მოყვანილი ყველა სახელმწიფო უნიტარულია. მესამე შეეხებოდა საკონსტიტუციო სასამართლოს დაკომპლექტების წესს. ყველა ის სისტემა, რომელიც აქ არის განხილული, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მსგავსად, ჰიბრიდულ მოდელს[14] განეკუთვნება.[15] სასამართლოს დაკომპლექტებაში მონაწილეობს სახელმწიფო ხელისუფლების სამივე შტო. ეს ქვეყნებია: ლიეტუვა, ლატვია, იტალია, ბულგარეთი და ესპანეთი. მათ მაგალითზე დოკუმენტში გაანალიზებულია სასამართლოს დაკომპლექტების პროცედურები: რომელი ორგანო რა ვადებში, რა წესით ნიშნავს საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეს და რა ცენზებს უნდა აკმაყოფილებდეს პირი.

ლიეტუვა უნიტარული სახელმწიფოა.[16] საკონსტიტუციო სასამართლო გამოყოფილია საერთო სასამართლოთა სისტემიდან.[17] ის შედგება 9 წლის ვადით არჩეული 9 მოსამართლისგან.[18] დაკომპლექტებაში მონაწილეობს ხელისუფლების სამივე შტო, თუმცა წარდგენილ კანდიდატთაგან ვინ გახდება მოსამართლე, ამას საკანონმდებლო ორგანო წყვეტს.[19] ისევე, როგორც რესპუბლიკის პრეზიდენტი და სეიმის თავმჯდომარე, უზენაესი სასამართლოს თავ-

---

[14] ჰიბრიდულ მოდელებს განეკუთვნებიან სახელმწიფოები, სადაც საკონსტიტუციო სასამართლოს დაკომპლექტებაში ხელისუფლების სამივე შტო მონაწილეობს, იხ. European Commission For Democracy Through Law (VENICE COMMISSION), The Composition of Constitutional Courts, გვ. 5, ვენეციის კომისიის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/2Aw0KJl, განახლებულია: 03.04.2021.

[15] იქვე.

[16] European Committee of the Regions, Division of powers, Lithuania, Europian Committee of the Regions-ის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3eKg2ZD, განახლებულია: 03.06.20.

[17] Constitution of the Republic of Lithuania, article 102.

[18] იქვე, article 103, cl. 1.

[19] იქვე.

მჯდომარეც წარადგენს საკონსტიტუციო სასამართლოს სამ წევრს.[20]

ლატვია უნიტარული ქვეყანაა.[21] საკონსტიტუციო მართლმსაჯულებას ახორციელებს საკონსტიტუციო სასამართლო, როგორც საერთო სასამართლოებისგან დამოუკიდებელი ინსტიტუტი.[22] ის შედგება 10 წლის ვადით არჩეული[23] 7 წევრისგან.[24] მოსამართლეების დანიშვნის შესახებ საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს პარლამენტი,[25] რომელსაც, თავის მხრივ, კანდიდატურებს წარუდგენენ პარლამენტის წევრთა 10-კაციანი ჯგუფები, მთავრობა (კაბინეტი) და უზენაესი სასამართლოს პლენუმი.[26]

ესპანეთი უნიტარული სახელმწიფოა.[27] საკონსტიტუციო მართლმსაჯულება საკონსტიტუციო სასამართლოს მანდატია.[28] ის შედგება 9 წლის ვადით არჩეული 12 წევრისგან.[29] მოსამართლეებს ნიშნავს მონარქი, რომელსაც, თავის მხრივ, კანდიდატურებს წარუდგენს ხელისუფლების სხვადასხვა შტო.[30] ოთხ-ოთხ წევრს ასახელებენ სენატი და კონგრესი (საკანონმდებლო ორგანოს ზედა და ქვედა პალატა), ორს - მთავრობის კაბინეტი.[31] პროცესში სასამართლო ხელისუფლების მონაწილეობა უზრუნველყოფილია გენერალური სასამართლო საბჭოს მიერ მეფისთვის ორი კანდიდატის შეთავაზებით.[32]

---

[20] იქვე.
[21] Europian Committee of the Regions, Division of powers, Latvia, Europian Committee of the Regions-ის ვებგვერდი ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3dEfNPu, განახლებულია: 03.06.2020.
[22] Constitutional court of the Republic of Latvia, about the court, საკონსტიტუციო სასამართლოს ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3coFaDP, განახლებულია: 03.06.2020.
[23] Constitutional Court Law of the Republic of Latvia, Section 7.
[24] იქვე, Section 3.
[25] იქვე, Section 85.
[26] იქვე, Section 4.
[27] Europian Committee of the Regions, Division of powers, Spain, Europian Committee of the Regions-ის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3sKX5NQ, განახლებულია: 03.06.20.
[28] Constitution of Spain, Section 159.
[29] იქვე.
[30] იქვე.
[31] იქვე.
[32] იქვე.

იტალია უნიტარული სახელმწიფოა.[33] საერთო სასამართლოებთან ერთად, ქვეყანაში არსებობს საკონსტიტუციო სასამართლო.[34] ის შედგება 9 წლის ვადით არჩეული 15 წევრისგან,[35] რომელთაგანაც თითო მესამედი ნომინირებულია პრეზიდენტის, პარლამენტისა და სასამართლოს მიერ.[36] ამ უკანასკნელის კვოტის შევსებაში მონაწილეობს საერთო სასამართლოების სხვადასხვა ინსტიტუტი.

ბულგარეთი უნიტარული ქვეყანაა.[37] საკონსტიტუციო კონტროლის ორგანოა საკონსტიტუციო სასამართლო, რომელიც დამოუკიდებელია საერთო სასამართლოებისგან.[38] ის შედგება 12 მოსამართლისგან, რომელთაგან თითო მესამედს 9 წლის ვადით ნიშნავენ პრეზიდენტი, პარლამენტი და სასამართლო.[39] აქაც სასამართლოს კვოტის შევსებაში მონაწილეობს საერთო სასამართლოების სხვადასხვა ინსტიტუტი.

[33] European Committee of the Regions, Division of powers, Italy, European Committee of the Regions-ის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/301H3U9, განახლებულია: 27.03.2020.
[34] Constitution of the Italian Republic, article 134.
[35] იქვე.
[36] იქვე.
[37] European Committee of the Regions, Division of powers, Bulgaria, European Committee of the Regions-ის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/2ZYKawh, განახლებულია: 27.03.2020.
[38] Constitution of the republic of Bulgaria, article 147.
[39] Constitutional court act, article 4.

3. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს დაკომპლექტება, საკანონმდებლო ჩარჩოს მიმოხილვა[40]

ცენზები

საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლის თანამდებობის დაკავება პირს შეუძლია 35 წლის ასაკიდან.[41] მას უნდა ჰქონდეს უმაღლესი იურიდიული განათლება, პროფესიული საქმიანობის 10-წლიანი გამოცდილება და გამორჩეული პროფესიული კვალიფიკაცია.[42] დაუშვებელია თანამდებობაზე ერთი პირის დანიშვნა მეორე ვადით.[43]

დანიშვნის წესი

საქართველოში საკონსტიტუციო სასამართლო 10 წლის ვადით არჩეული 9 მოსამართლისგან შედგება.[44] დაკომპლექტების პროცესში თანაბრად მონაწილეობს ხელისუფლების სამივე შტო.[45] სამ წევრს ნიშნავს პრეზიდენტი, სამს - უზენაესი სასამართლოს პლენუმი, ხოლო სამს ირჩევს პარლამენტი.[46]

სახელმწიფო მეთაურის მიერ კანდიდატის დანიშვნასთან დაკავშირებით რაიმე პროცედურა, გარდა ვადებისა,[47] გაწერილი არ არის. შესაბამისად, მისი დისკრეციის ხარისხი მაღალია.

უმაღლეს წარმომადგენლობით ორგანოში კანდიდატის წარდგენის უფლება აქვთ: პარლამენტის თავმჯდომარეს, ფრაქციას, უფრაქციო პარლამენტის წევრთა არანაკლებ 7-კაციან ჯგუფს.[48] საბოლოოდ, საჭიროა სრული შემადგენლობის 3/5-ის მხარდაჭერა.[49]

---

[40] საქართველოს კონსტიტუცია, მე-60 მუხლის მე-2 პუნქტი.
[41] იქვე.
[42] იქვე.
[43] იქვე.
[44] იქვე.
[45] იქვე.
[46] საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ ორგანული კანონი, მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტი.
[47] საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ ორგანული კანონის მე-16 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის უფლებამოსილების ვადის ამოწურვამდე არაუადრეს 1 თვისა და არაუგვიანეს 10 დღისა განწესდება საკონსტიტუციო სასამართლოს ახალი წევრი.
[48] საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი, 204-ე მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი.
[49] იქვე, მე-4 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი.

უზენაესი სასამართლოს შემთხვევაში გადაწყვეტილებას იღებს პლენუმი.[50] კანდიდატს ასახელებს უზენაესი სასამართლოს თავმჯ-დომარე.[51] კენჭისყრის შედეგად, არჩეულად მიიჩნევა ის პირი, რო-მელიც დამსწრეთა[52] ხმების 2/3-ს მიიღებს.[53] დამატებითი ვალდე-ბულებები კანდიდატის წინასწარ წარდგენისას, ისევე, როგორც პრეზიდენტის შემთხვევაში, დადგენილი არ არის.

[50] საერთო სასამართლოების შესახებ ორგანული კანონი, მე-18 მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი.
[51] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ ორგანული კანონი, მე-7 მუხლის მე-2 პუნქტი.
[52] პლენუმის სხდომას უნდა ესწრებოდეს მოსამართლეთა 2/3.
[53] იქვე.

4. საკონსტიტუციო სასამართლოს დაკომპლექტება ევროკავშირის სახელმწიფოებში

4.1. ლიეტუვა

ცენზები

საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლის თანამდებობის დაკავება ლიეტუვას მხოლოდ იმ მოქალაქეებს შეუძლიათ, რომლებსაც აქვთ უმწიკვლო რეპუტაცია, უმაღლესი განათლება სამართლის დარგში და 10-წლიანი სამუშაო გამოცდილება (სამეცნიერო ან პრაქტიკული).[54]

დანიშვნის წესი

ყოველ სამ წელიწადში სეიმის მიერ იცვლება სასამართლოს წევრთა 1/3.[55] საკანონმდებლო ორგანოსთვის კანდიდატების წარდგენის უფლება აქვთ: სეიმის თავმჯდომარეს, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარესა და რესპუბლიკის პრეზიდენტს, იმის გათვალისწინებით, თუ რომელი სუბიექტის მიერ ნომინირებულ მოსამართლეს გაუვა უფლებამოსილების ვადა.[56]

მოსამართლეს უფლებამოსილება ეწურება შესაბამისი წლის მარტის მესამე ხუთშაბათს.[57] პასუხისმგებელი პირები ვალდებულნი არიან, მოსამართლეობის კანდიდატი წარადგინონ ჩასანაცვლებელი წევრის უფლებამოსილების რეგულარული ვადის გასვლამდე არაუგვიანეს სამი თვისა.[58] იმ შემთხვევაში, თუ დადგენილ დროში ვერ მოხერხდება დანიშვნა, მოსამართლეს ვადა უგრძელდება.[59] სეიმში განხილვამდე კანდიდატთა ვინაობა უნდა გამოცხადდეს პრესის მეშვეობით.[60] აგრეთვე, კენჭისყრამდე ორი კვირით ადრე პრეტენდენტთა შესახებ ინფორმაცია უნდა გამოქვეყნდეს სეიმის ოფიციალურ ვებგვერდზე.[61]

---

[54] The Law Of The Constitutional Court of the republic of Lithuania, article 5.
[55] იქვე, article 4.
[56] იქვე.
[57] იქვე.
[58] იქვე.
[59] იქვე.
[60] იქვე, article 5.
[61] Seimas of the republic of Lithuania statute, article 200.

წარდგენის შემდგომ კანდიდატურებს განიხილავენ სეიმის ფრაქციები და შესაბამისი კომიტეტები.[62] იურიდიულ საკითხთა კომიტეტი ვალდებულია, იმსჯელოს და სეიმს მათ შესახებ მოსაზრება მიაწოდოს.[63] საკითხის გადაწყვეტას სჭირდება დამსწრეთა უბრალო უმრავლესობა (სხდომა უფლებამოსილია, თუ მას 141 წევრიდან ნახევარი მაინც ესწრება).[64]

4.2. ლატვია

ცენზები

ლატვიის მოქალაქეს, 40 წლის ასაკიდან, რომელსაც აქვს უმწიკვლო რეპუტაცია, უმაღლესი იურიდიული განათლება (მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული ხარისხი), შეუძლია, გახდეს საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლე.[65] პრეტენდენტს მოეთხოვება მინიმუმ 10-წლიანი სამუშაო გამოცდილება პრაქტიკული ან სამეცნიერო კუთხით.[66] ამასთან, სამეცნიერო საქმიანობაში იგულისხმება მხოლოდ უმაღლეს საგანმანათლებლო ან პროფესიულ დაწესებულებებში (გარდა პირველი დონის პროფესიული განათლების დაწესებულებებისა) მუშაობა.[67]

დანიშვნის წესი

საკონსტიტუციო სასამართლოს წევრებს ნიშნავს სეიმი (ლატვიის საკანონმდებლო ორგანო).[68] გადაწყვეტილების მისაღებად საკმარისია ხმათა უმრავლესობა, თუმცა მათი რაოდენობა არ უნდა იყოს 51-ზე ნაკლები.[69]

სეიმს კანდიდატურას წარუდგენენ შემდეგი სუბიექტები: სეიმის

[62] იქვე, article 67.
[63] იქვე.
[64] იქვე, article 113.
[65] Constitutional Court Law of the republic of Lithuania article 4, cl. 2.
[66] იქვე.
[67] იქვე.
[68] სეიმი (პარლამენტი) შედგება 100 წევრისგან, იხ. The Constitution of the Republic of Latvia, article 5.
[69] The Constitution of the Republic of Latvia, article 85.

არანაკლებ 10 წევრი,[70] მთავრობა (კაბინეტი) და უზენაესი სასამართლოს პლენუმი.[71]

უზენაესი სასამართლოს პლენუმი წარსადგენ ორივე კანდიდატს არჩევს საერთო სასამართლოების მოსამართლეთაგან.[72] სხდომა უფლებამოსილია, თუ მას პლენუმის სრული შემადგენლობის 2/3 ესწრება,[73] გადაწყვეტილების მიღებას კი დამსწრეთა უმრავლესობა სჭირდება.[74] პლენუმის დღის წესრიგი მოსამართლეთათვის ცნობილი უნდა გახდეს 15 დღით ადრე, ხოლო გადაწყვეტილების პროექტი - მინიმუმ, შვიდი დღით ადრე.[75] როგორც წესი, სხდომა ღიაა, ხმის მიცემა კი - ფარული.[76]

მთავრობის კაბინეტის მიერ სასამართლოს ორი წევრის დასახელებასთან დაკავშირებით არ არსებობს გაწერილი პროცედურები.[77] რაც შეეხება პარლამენტის მიერ წარსადგენ კანდიდატებს (სამი კანდიდატი), აქ ნომინირების შემდეგ ხმათა უმრავლესობით გადაწყდება, ვინ დაიკავებს თანამდებობას.[78]

მას შემდეგ, რაც უფლებამოსილი პირები პარლამენტს მიმართავენ და პრეტენდენტის შესახებ ინფორმაციას სეიმის პრეზიდიუმს მიაწოდებენ,[79] ეს უკანასკნელი მას გადასცემს შესაბამის საპარლამენტო კომიტეტს, რომელსაც 15 დღე აქვს დადგენილების პროექტის მისაღებად.[80] პროექტს კენჭი ეყრება სეიმის პლენარულ სხდომაზე.[81]

---

[70] Constitutional Court Law of the Republic of Latvia, article 4, cl. 1.
[71] იქვე.
[72] Law of the Republic of Latvia on Judicial Power, Section 49.
[73] Plenary Session Manual, article 5.
[74] Plenary Session Manual, article 31.
[75] Plenary Session Manual, article 12/13.
[76] Plenary Session Manual, article 27.
[77] European Commission For Democracy Through Law (VENICE COMMISSION), The composition of constitutional courts, გვ. 52.
[78] Rules of procedure of the saeima, article 31.
[79] შენიშვნა: პრეზიდიუმი ასრულებს პარლამენტის ბიუროს ფუნქციებს.
[80] იქვე.
[81] იქვე.

4.3. ესპანეთი

ცენზები

საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლე შეიძლება გახდეს მხოლოდ ესპანეთის მოქალაქე,[82] რომელსაც აქვს 15 წელზე მეტი სამუშაო გამოცდილება იურიდიულ სფეროში - მოსამართლის, პროკურორის, უნივერსიტეტის პროფესორის, საჯარო მოხელის ან იურისტის თანამდებობაზე.[83]

დანიშვნის წესი

ესპანეთში 12-ვე მოსამართლეს ნიშნავს მეფე, თუმცა ის ამ გადაწყვეტილებას ერთპიროვნულად არ იღებს. საკონსტიტუციო სასამართლოს დაკომპლექტების პროცესში მონაწილეობს რამდენიმე აქტორი და თითოეულის მიერ მეფისთვის კანდიდატურის წარდგენის წესები განსხვავებულია.

4 კანდიდატს მეფეს სენატი (პარლამენტის ზედა პალატა) წარუდგენს,[84] რომელიც, თავის მხრივ, არჩევანს აკეთებს ავტონომიურ თემთა საკანონმდებლო წარმომადგენლობის/კრების მიერ შეთავაზებული პირებიდან.[85] თითოეული თემი 2 კანდიდატს წარადგენს.[86] სპეციალური კომისია[87] მათგან სეიმისთვის წარსადგენად არჩევს იმდენ პრეტენდენტს, რამდენი ვაკანსიაც არის შესავსები.[88] კომისიას შეუძლია, თუ საჭიროდ მიიჩნევს, დამატებით დაიბაროს კანდიდატი. სენატის სხდომაზე ანგარიშს სწორედ კომისია წარადგენს. მას აქვს 10 წუთი. თითოეულ პოლიტიკურ ჯგუფს ასევე 10 წუთი აქვს კანდიდატის შესახებ საკუთარი პოზიციის დასაფიქსირებლად. ამის

[82] Organic law 2/1979 on the constitutional court, article 18.
[83] იქვე.
[84] Constitution of Spain, Section 159.
[85] Organic law 2/1979 on the constitutional court, article 16.
[86] Procedures for choosing other bodies, სენატის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3duNZxe, განახლებულია: 04.06.2020.
[87] კომისია შედგება სენატის თავმჯდომარისა და საპარლამენტო ჯგუფების სპიკერებისგან, თუმცა, თავმჯდომარესთან შეთანხმებით, შესაძლებელია, კომისიის წევრი იყოს არა სპიკერი, არამედ საპარლამენტო ჯგუფის ნებისმიერი წევრი, Standing orders of senate, article 185.
[88] Procedures for choosing other bodies.

შემდგომ იწყება კენჭისყრა.[89] არჩეულად ითვლება პირი, რომელიც სეიმის ხმათა 3/5-ს მიიღებს.[90]

მეფეს იმავე რაოდენობის კანდიდატს სთავაზობს კონგრესი (ქვედა პალატა).[91] თითოეულ ფრაქციას შეუძლია, თანამდებობაზე დაასახელოს 4 პირი, რომელთა წარსადგენად მათ 5-5 წუთი აქვთ.[92] პირის ასარჩევად საკმარისია დამსწრეთა უმრავლესობა, თუმცა არანაკლებ სრული შემადგენლობის 1/3-ისა.[93]

2 კანდიდატს მეფეს წარუდგენს მთავრობა.[94] პროცედურის შესაბამისად, მინისტრთა საბჭო იკრიბება და იღებს გადაწყვეტილებას შესაბამისი პირების ნომინირების თაობაზე.[95]

დანარჩენ 2 კანდიდატს მეფეს წარუდგენს გენერალური სასამართლო საბჭო.[96] ამ გადაწყვეტილების მისაღებად საჭიროა 3/5-ის მხარდაჭერა.[97] გენერალური სასამართლო საბჭო არის კონსტიტუციური, კოლეგიური და დამოუკიდებელი სასამართლო ორგანო, რომელიც შედგება 21 წევრისგან, მოსამართლეებისგან/იურისტებისგან და მისი მთავარი მიზანი სასამართლოს დამოუკიდებლობის დაცვაა.[98]

4.4. იტალია

ცენზები

საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეს მოეთხოვება 20-წლიანი გამოცდილება მოსამართლის, უნივერსიტეტის პროფესორის ან იურისტის ამპლუაში.[99]

---

[89] იქვე.
[90] იქვე.
[91] იქვე.
[92] იქვე.
[93] Standing orders of the congress od deputies, article 204.
[94] იქვე.
[95] Gobieno de espana, "Mariano Rajoy attends swearing in of Antonio Narváez as new Constitutional Court judge", ესპანეთის მთავრობის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3eSfGQz, განახლებულია: 04.06.2020.
[96] იქვე.
[97] Organic law 6/1985, Explenatory preamble, VI.
[98] General Council of the Judiciary, გენერალური სასამართლო საბჭოს ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3dxEe1e, განახლებულია: 04.06.2020.
[99] Constitution of the Italian Republic, article 135.

დანიშვნის წესი

15-წევრიანი სასამართლოს დაკომპლექტება ხელისუფლების შტოებს შორის ძალთა ბალანსის პრინციპს ემყარება. 5 წევრს ნიშნავს პარლამენტი, რომელიც ბიკამერულია და ამ საკითხზე მართავს გაერთიანებულ სხდომას.[100] პირი აირჩევა 2/3-ის უმრავლესობით.[101] კენჭისყრა შეიძლება ჩატარდეს სამჯერ.[102] თუ ვერცერთ ცდაზე 2/3 ვერ მოგროვდა, მაშინ მეოთხე ჯერზე საკმარისი ხდება 3/5.[103]

5 მოსამართლეს თანამდებობაზე ნიშნავს რესპუბლიკის პრეზიდენტი.[104]

დანარჩენ 5 წევრს თანამდებობაზე განაწესებს სასამართლო ხელისუფლება, ორდინალური და ადმინისტრაციული სასამართლოს უმაღლესი ორგანოები.[105] ამ კვოტიდან 3 ინიშნება უზენაესი სასამართლოს, ერთი - სახელმწიფო საბჭოს,[106] ხოლო ერთი - საანგარიშო პალატის[107] მიერ.[108]

---

[100] The Italian Constitutional Court, იტალიის საკონსტიტუციო სასამართლოს ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/308deBw, განახლებულია: 04.06.2020.

[101] Dengler, D. S. "The Italian Constitutional Court: Safeguard of the Constitution", Penn State International Law Review, 2001, Vol.19: No. 2, article 6. ხელმისაწვდომია: https://bit.ly/2Boazcv, განახლებულია: 04.06.2020.

[102] იქვე.

[103] იქვე.

[104] იქვე.

[105] პეგორარო ლ. „ევროპასა და რეგიონებს შორის: იტალიის რთული მმართველობა", დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტი, 2016, გვ. 98.

[106] სახელმწიფო საბჭო არის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი საკონსულტაციო ორგანო, რომელიც ზედამხედველობს მართლმსაჯულების განხორციელების/ადმინისტრირების პროცესს, Constitution of the Italian Republic, Title III - The Government, Section III Auxiliary Bodies, article 100.

[107] შენიშვნა: საანგარიშო პალატის იურისდიქციაში შედის აღმასრულებელი ხელისუფლების/მთავრობის ღონისძიებების პრევენციული კონტროლი, ასევე სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯვის კონტროლი, Constitution of the Italian Republic, article 100.

[108] Dengler, D. S. "The Italian Constitutional Court: Safeguard of the Constitution", Penn State International Law Review, 2001, Vol. 19: No. 2, article 6, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/2Boazcv, განახლებულია: 04.06.2020.

4.5. ბულგარეთი

ცენზები

საკონსტიტუციო სასამართლოს წევრი შეიძლება გახდეს მხოლოდ ბულგარეთის მოქალაქე.[109] ის უნდა გამოირჩეოდეს მაღალი პროფესიონალიზმით და ჰქონდეს იურიდიულ სფეროში მუშაობის 15-წლიანი პრაქტიკა.[110]

დანიშვნის წესი

12-წევრიანი სასამართლოს დაკომპლექტებაში ხელისუფლების სამივე შტოს მონაწილეობა თანაბარია. ისინი დამოუკიდებლად ნიშნავენ მოსამართლეებს.[111] თითო მოსამართლე თითოეული კვოტიდან იცვლება ყოველ სამ წელიწადში ერთხელ.[112]

მოქმედი მოსამართლის უფლებამოსილების ვადის გასვლამდე სამი თვით ადრე საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე წინადადებით მიმართავს დანიშვნაზე უფლებამოსილ პირებს (პრეზიდენტი, პარლამენტის თავმჯდომარე, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე), რათა შეარჩიონ ან დანიშნონ შესაბამისი მოსამართლეები.[113]

---

[109] Constitutional court act, article 4.
[110] Constitution of the Republic of Bulgaria, article 147.
[111] Constitution of the Republic of Bulgaria, article 147.
[112] Composition, ბულგარეთის საკონსტიტუციო სასამართლოს ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3cD4GW4, განახლებულია: 04.06.2020.
[113] იქვე.

5. შეჯამება

შესწავლილ სახელმწიფოებში საკონსტიტუციო სასამართლოს დაკომპლექტებისას ხელისუფლების შტოების დაბალანსების სხვადასხვა მექანიზმი არსებობს. საბოლოოდ, რთულია ერთიან საუკეთესო პრაქტიკაზე ჩამოყალიბება. ყველა ქვეყანა ამ ბალანსის მიღწევას საკუთარი კონსტიტუციური სისტემით ცდილობს. მაგალითად, ესპანეთში საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე რამდენიმე საფეხურია გასავლელი. სანამ სენატი ავტონომიურ თემთა საკანონმდებლო წარმომადგენლობის/კრების მიერ დასახელებული კანდიდატებიდან არჩევანს გააკეთებს, ბუნებრივია, მათ შესახებ ინფორმაცია ყველა დაინტერესებული პირისთვის ხელმისაწვდომია. ეს კი საჯაროობას და საზოგადოების ინფორმირებულობას უზრუნველყოფს. ლიეტუვაში გადაწყვეტილებას პარლამენტი იღებს და პრეტენდენტთა შესახებ ინფორმაცია ორი კვირით ადრე ქვეყნდება. სასამართლოს კვოტით კანდიდატის წარდგენასთან დაკავშირებით ლატვიის მაგალითი კი ერთ-ერთი საუკეთესოა, რადგან, როგორც წესი, მინიმუმ 7 დღით ადრე პლენუმის წევრებისთვის ცნობილია დღის წესრიგი და კანდიდატის ვინაობა.

საქართველოში მართლმსაჯულების სისტემა ბევრი გამოწვევის წინაშე დგას. ძალიან დაბალია ნდობა საერთო სასამართლოების მიმართ.[114] ამის გამოსასწორებლად, მნიშვნელოვანია, ყველა პროცედურა, რომელიც მოსამართლეთა დანიშვნას შეეხება, მაქსიმალურად გამჭვირვალე იყოს. სამწუხაროდ, საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლის დანიშვნასთან დაკავშირებით დღეს მოქმედი წესები ამას ვერ უზრუნველყოფს. როგორც პრეზიდენტის, ასევე უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის მიერ კანდიდატის ნომინირების შემდეგ, პრეტენდენტის თანამდებობაზე განწესებამდე, საჭიროა გონივრული ვადა. ეს შესაძლებელს გახდის როგორც კანდიდატზე საჯარო მსჯელობას, ისე დანიშვნის მიმდინარეობის სამოქალაქო კონტროლს.

[114] საქართველოს მოსახლეობის ცოდნა და დამოკიდებულება სასამართლო სისტემის მიმართ: მოსახლეობის გამოკითხვის შედეგები, ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC), CRRC-საქართველო, ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI), 2018, EMC-ის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3heHfFQ, განახლებულია: 12.04.2020.

დანართი №1

ცენზები

	ლიეტუვა	ლატვია	ესპანეთი	იტალია	ბულგარეთი
ასაკი	-	40	-	N/A	-
განათლება	უმაღლესი იურიდიული განათლება.	უმაღლესი იურიდიული განათლება. სამართლის დარგში (მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული ხარისხი).	N/A	N/A	N/A
გამოცდილება	სამართლის სფეროში 10 წლიანი სამუშაო გამოცდილება (სამეცნიერო ან პრაქტიკული).	სამართლის სფეროში 10 წლიანი სამუშაო გამოცდილება (სამეცნიერო ან პრაქტიკული).	15 წელზე მეტი სამუშაო გამოცდილება: მოსამართლის, პროკურორის, პროფესორის, საჯარო მოხელის ან იურისტის თანამდებობაზე.	20 წლიანი სამუშაო გამოცდილება მოსამართლის, პროფესორის ან იურისტის თანამდებობაზე.	სამართლის სფეროში 15 წლიანი სამუშაო გამოცდილება.
მოქალაქეობა	არსებობს მოქალაქეობის ცენზი.	არსებობს მოქალაქეობის ცენზი.	არსებობს მოქალაქეობის ცენზი.	N/A	არსებობს მოქალაქეობის ცენზი.
სხვა	უმწიკვლო რეპუტაცია.	უმწიკვლო რეპუტაცია.	_	N/A	უნდა გამოირჩეოდეს პროფესიონალიზმის მაღალი დონით.

დანართი №2

სახელმწიფო ხელისუფლების ცალკეული შტოების მონაწილეობა საკონსტიტუციო სასამართლოს დაკომპლექტების პროცესში

	ლიეტუვა	ლატვია	ესპანეთი	იტალია	ბულგარეთი
საკონსტიტუციო სასამართლოს წევრთა რაოდენობა	9	7	12	15	12
აღმასრულებელი	საკონსტიტუციო სასამართლოს წევრთა 1/3-ს, სეიმი ნიშნავს პრეზიდენტის წარდიგინებით.	საკონსტიტუციო სასამართლოს 2 წევრს, პარლამენტში წარადგენს მთავრობის კაბინეტი.	12-ვე მოსამართლეს ნიშნავს მეფე. 2 წევრს მონარქს წარუდგენს მთავრობის კაბინეტი.	საკონსტიტუციო სასამართლოს წევრთა 1/3-ს ნიშნავს პრეზიდენტი.	საკონსტიტუციო სასამართლოს წევრთა 1/3-ს ნიშნავს პრეზიდენტი.
საკანონმდებლო	საბოლოო გადაწყვეტილებას ყველა მოსამართლესთან დაკავშირებით იღებს სეიმი, გარდა ამისა, წევრთა 1/3-ს წარადგენს სეიმის თავმჯდომარე.	საბოლოო გადაწყვეტილებას ყველა მოსამართლესთან დაკავშირებით, იღებს პარლამენტი, გარდა ამისა, პარლამენტის 10 კაციან ჯგუფებს შეუძლიათ წარადგინონ კანდიდატურები. სულ სეიმის წარდგინებით შეიძლება დაინიშნოს 3 მოსამართლე.	სეიმი (ზედა პალატა) წარუდგენს მეფეს, 4 წევრს, აგრეთვე 4 წევრს წარუდგენს კონგრესი(ქვედა პალატა).	საკონსტიტუციო სასამართლოს წევრთა 1/3-ს ნიშნავს პარლამენტი.	საკონსტიტუციო სასამართლოს წევრთა 1/3-ს ნიშნავს პარლამენტი.

სასამართლო	უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე სეიმს წარუდგენს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრთა წევრთა 1/3-ს.	საერთო სასამართლოების მოსამართლეთაგან, უზენაესი სასამართლოს პლენუმი პარლამენტში წარადგენს 2 კანდიდატს.	გენერალური სასამართლო საბჭო მეფეს წარუდგენს 2 წევრს.	საკონსტიტუციო სასამართლოს წევრთა 1/3-ს, ნიშნავს ხელისუფლება (3/5 ინიშნება ინიშნება უზენაესი სასამართლოს, 1/5 სახელმწიფო საბჭოს, ხოლო 1/5 საანგარიშო პალატის მიერ).	საკონსტიტუციო სასამართლოს წევრთა 1/3-ს, ნიშნავს უზენაესი სასამართლო.